**საქართველოს**
**სახალხო დამცველი**
**PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)**
**OF GEORGIA**

ირაკლი ფაღავას N6
**0144** თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
**www.ombudsman.ge**
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

**10 თებ 2025 წ.**

KA000054096812925

№ **23**

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

## საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში თამბაქოს მოხმარების წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სახლხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის, „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში თამბაქოს მოხმარების წესი (დანართი N1).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში თამბაქოს მოხმარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 14 ივნისის ბრძანება N228.
3. ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა დაევალოს სახალხო დამცველის აპარატის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს.
4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე–12კმ, N64), მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი

დანართი N1

## საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში თამბაქოს მოხმარების წესი

**მუხლი 1.**

1. ეს წესი ადგენს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში (შემდგომში - აპარატი) თამბაქოს მოხმარების წესს.

2. აპარატში თამბაქოს მოხმარების წესი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე.

3. ეს წესი ვრცელდება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის როგორც ცენტრალური, ისე რეგიონული ოფისების საქმიანობაზე.

**მუხლი 2.**

1. აკრძალულია თამბაქოს მოწევა აპარატის ცენტრალური და რეგიონული ოფისების შენობაში და აპარატის ტერიტორიაზე.

2. აპარატის ცენტრალურ და რეგიონულ ოფისებში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეებს, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს, სტაჟიორებს, აგრეთვე აპარატში სტუმრად მყოფ პირებს თამბაქოს მოწევა შეუძლიათ სახალხო დამცველის აპარატის შენობის და ტერიტორიის გარეთ, სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე.

4. მოსაწევი ადგილი განკუთვნილი უნდა იყოს მხოლოდ თამბაქოს მოწევისათვის.

5. მოსაწევ ადგილას განთავსებული უნდა იყოს შესაბამისი ნიშანი და ურნა.

6. აპარატის ყველა შესასვლელში და სხვა თვალსაჩინო ადგილებში განთავსებული უნდა იყოს თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებული წესები, წარწერა და თამბაქოს მოწევის აკრძალვის ნიშანი.

7. თამბაქოს მოხმარების წესის დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამის პირს შეუძლია დაუკავშირდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - „112“ (ტელ.: 112) და

ა) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში (მდებარე, ქ. თბილისი, ირაკლი ფაღავას ქ. N6) - მალხაზ საბანიძე (ტელ.: 577122787);

ბ) რეგიონული დეპარტამენტის იმერეთის ოფისში - (ქ. ქუთაისი, შ.რუსთაველის ქ. №18) - თამთა ჩეჩელაშვილს (ტელ.:593189296);

გ) რეგიონული დეპარტამენტის აჭარის ოფისში (ქ. ბათუმი, ნოდარ დუმბაძის ქ. №10) - გიორგი ჩარკვიანს (ტელ.: 577505231);

დ) რეგიონული დეპარტამენტის სამეგრელოს ოფისში (ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქ. №58) - თამთა ალანიას (ტელ.: 557879292);

ე) რეგიონული დეპარტამენტის ზემო სვანეთის ოფისში (დაბა მესტია,სეტის მოედანი N19) - ირინე გურჩიანს (591508262);

ვ) რეგიონული დეპარტამენტის შიდა ქართლის ოფისში (ქ. გორი,სამების ქ. №1) - ანა ჯანიაშვილს (551661477);

ზ) რეგიონული დეპარტამენტის ქვემო ქართლის ოფისში (ქ. მარნეული, რუსთაველის № 59) - ირმა მჭედლიძეს (ტელ.: 595 525 357)

თ) რეგიონული დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის ოფისში (ქ. ახალქალაქი, ჭავჭავაძის №4) - ანდრანიკ ბაღდასარიანს (ტელ.: 595807844)

ი) რეგიონული დეპარტამენტის კახეთის ოფისში (ქ. თელავი, ვაჟა-ფშაველას ქ. №3) - ნათია ფიცხელაურს (ტელ.: 591883538);

კ) რეგიონული დეპარტამენტის გურიის ოფისში (ქ. ოზურგეთი, აღმაშენებლის ქ. №9) - თამარ ოგანოვს (ტელ.: 599494859);

ლ) რეგიონული დეპარტამენტის რაჭის ოფისში (ქ. ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. N11) - გვანცა შაუთიძე (ტელ.: 551160722).

**მუხლი 3.**

1. სახალხო დამცველის აპარატში სპეციალურ პასუხისმგებელ პირს შეუძლია მოსთხოვოს დამრღვევს დარღვევის აღკვეთა, ხოლო მისი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეუძლია დაუკავშირდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - „112“ (ტელ.: 112).

2. პირის მიერ ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. აპარატში დასაქმებული საჯარო მოსამსახურის ან/და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიერ ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა შეიძლება გახდეს მისთვის დისციპლინური პასუხიმგებლობის დაკისრების საფუძველი.

4. აპარატში სტუმრად მყოფი პირის მიერ ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს მის მიერ აპარატის ვადამდე დატოვების მოთხოვნის საფუძველი.